თბილისის დინამოელთა დიდი, ბრწყინვალე გამარჯვება

დიუსელდორფი (გფრ). "რეინშტადიონი". 13 მაისი.

"დინამო" (თბილისი, სსრ კავშირი) – "კარლ ცაისი" (იენა, გდრ) 2:1 (0:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

"კარლ ცაისი": გრაპენტინი, ბრაუერი, ჰოპე (ოვერმანი), შილინგი, კურბიუვაიტი, შნუპხაზე, კრაუზე, ლინდემანი, ბილაუ (ტოპფერი), რააბი, ფოგელი.

მსაჯები: რ. ლატანცი, ლ. ანოლი, პ. ბერგამო (ყველა - იტალია).

უეფა-ს კომისარი მატჩზე - დოქტორი იირა (ჩეხოსლოვაკია).

მატჩს დაესწრო 10.000 მაყურებელი.

მატჩის წინ

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები მოათავსეს დიუსელდორფის გარეუბანში, სასტუმრო "გუტ ჰალეში". სასტუმროს მახლობლად მდებარეობდა მწვანე მინდორი, რომელიც დინამოელებმა სავარჯიშოდ გამოიყენეს, შემდეგ კი მიაშურეს "რეინშტადიონის" ცენტრალურ მინდორს, სადაც დანიშნული იყო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი.

დიუსელდორფის სტადიონი 60 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს, მაგრამ როგორც აქაური პრესა იტყობინებოდა, დიუსელდორფელ გულშემატკივრებს სწამთ მხოლოდ თავიანთი გუნდი "ფორტუნა" და რახან ამ გუნდმა უხეიროდ იასპარეზა სწორედ ამ ტურნირში - თასების თასზე, მათ ინტერესი აღარ ჰქონდათ სხვათა გამოსვლებისადმი. გასაკვირი კია - შენს ქალაქში, იქვე გვერდით იმართებოდეს ესოდენ მაღალი რანგის მატჩი, ფეხბურთი გიყვარდეს და არ დაესწრო მას...

საერთოდ კი, ყურადღება და ინტერესი თბილისის "დინამოსა" და იენის "კარლ ცაისის" ფინალისადმი მთელს ევროპაში დიდი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტელევიზიით 55 ქვეყანა ღებულობდა მატჩის რეპორტაჟს, მრავლად იყვნენ ჩამოსული რადიოკომენტატორები, პრესის წარმომადგენლები.

"კარლ ცაისს" გულშემატკივართა საკმაოდ დიდი რაზმი - ათასკაციანი ჯგუფი ჩამოჰყვა საქომაგოდ. ტრიბუნებზე ისხდნენ თბილისის "დინამოს" გულშემატკივრებიც, რომლებიც შეიარაღბული იყვნენ ტრანსპარანტებით, მოწოდებებით, ალმებით.

მატჩი

შეხვედრის დასაწყისში ისე ჩანდა, თითქოს ტემპი არ იყო მაღალი, მეტოქეები კარგა ხანს ზვერავდნენ ერთმანეთს. ასეთი პასუხსაგები სიტუაციისთვის კანონზომიერი "ხარკი" წაიღო ნერვიულობამაც, ვინაიდან ორივე მხარე გრძნობდა თამაშის უდიდეს მნიშვნელობას.

შემდგომში თბილისელებმა თანდათან ააწყვეს თამაში, ირწმუნეს საკუთარი ძალები, ბურთის გაშვების შემდეგ კი გარდატეხა შეიტანეს თამაშში, მაყურებელს უჩვენეს, ბრწყინვალე ტექნიკა, უმაღლესი სანებისყოფო თვისებები, ტაქტიკური მრავალფეროვნება.

რა დასამალია: იყო რთული ვითარებანი, "კარლ ცაისის" გამოცდილი ფეხბურთელები ხშირად უტევდნენ, სახიფათო მომენტებიც საკმარისად შექმნეს, მაგრამ

თბილსიელთა მცველები და მეკარე გაბელია უკიდურესად მობილურნი იყვნენ, მეტოქის არც ერთ მანევრს არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. მათ წინა ხაზების მოთამაშეებიც ხშირად ეხმარებოდნენ. თავის მხრივ "დინამო" ერთიანი ფრონტით გადადიოდა შეტევაზე. თავდამსხმელებს აქტიურად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები და მცველებიც. მეტოქის კარის სიახლოვეს ხშირად სტუმრობდნენ ჩივაძე, კოსტავა, თავაძე, ხიზანიშვილი.

ცენტრალურ ზონაში ინიციატივა საფუძვლიანად აიღეს ხელთ სულაქველიძემ, დარასელიამ, სვანაძემ (შემდგომში კარგად ითამაშა კაკილაშვილმაც, რომელმაც სვანაძე შეცვალა).

"კარლ ცაისმა" საგანგებოდ მიამაგრა ყიფიანს თავისი საუკეთესო "პრესინგისტი" კრაუზე, მაგრამ დინამოელთა ტაქტიკური კომბინაციების ლიდერის ყიფიანის ნეიტრალიზება მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. გერმანელთა დაცვაში სისტემატურად შეჰქონდათ პანიკა გუცაევს, შენგელიას.

გამარჯვებისთვის ბრძოლამ დიდი ძალები შეიწირა, მაგრამ დინამოელები კვლავ და კვლავ პოულობდნენ ახალ ენერგიას წარმატებისთვის და, ვიმეორებთ, მაშინაც კი, როცა "კარლ ცაისი" დაწინაურდა, არც ერთ მოთამაშეს წუთითაც არ შეუნელებია ბრძოლა. პირიქით, ყოველი მათგანი მხოლოდ გამარჯვებისთვის იყო გამიზნული.

გდრ-ის ფეხბურთელებმა დასაწყისში რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, მეკარე გაბელიას ძნელი ბურთების აღება მოუხდა ლინდემანის, შნუპჰაზეს, რააბისგან. ყიფიანის გარდა პერსონალური მეურვეობის ქვეშ იყვნენ სულაქველიძე, გუცაევი, შენგელია, მაგრამ "დინამო" სულო უფრო უმატებდა ტემპს. "კარლ ცაისის" კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. გუნდის მცველებს სულ უფრო ხშირად სჭირდებოდათ მაშველი ძალა შუა ხაზიდან. ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ჩივაძეს, ყიფიანს, სულაქველიძეს, მეკარე გრაპენტინი შეუსვენებლად მუშაობდა.

და, მაინც, პირველი ბურთი გერმანელებმა გაიტანეს. 63-ე წუთზე "კარლ ცაისმა" მარცხენა ფრთიდან შეუტია, ბურთი გადასცეს თბილისელთა საჯარიმო მოედნის ცენტრში და აქ ყველას დაასწრო ჰოპემ - 1:0.

57-ე წუთზე კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ბურთი მიიღო ყიფიანმა, მისი მეტოქეები თითქოს ჩაკეტილნი იყვნენ, მაგრამ ამ მომენტში გაიხსნა შენგელია. ყიფიანმაც არ დააყოვნა გადაცემა. შენგელიამ სწრაფად მოატყუა ბრაუერი, შენიშნა მარჯვნივ ღიად დარჩენილი გუცაევი და ზუსტად გადასცა მას ბურთი. გადამწყვეტი დარტყმა უშეცდომო იყო - 1:1.

87-ე წუთზე ვირტუოზულად ითამაშა დარასელიამ: მიიღო გადაცემა, გვერდი აუარა ერთ მცველს, შემდეგ - მეორეს და ძნელი მდგომარეობიდან ძლიერად დაარტყა კარში. ეს იყო სიტუაცია, სადაც ფეხბურთელს მართლაც უმაღლესი ოსტატობის გამოვლენა მართებს წარმატების მისაღწევად და დარასელიას ეყო ეს უმაღლესი ოსტატობა - 2:1.

ეს იყო დიდი, დამსახურებული გამარჯვება, მოპოვებული დაძაბული, შეუნელებელი შრომით. ამ გამარჯვებისაკენ წლების მანძილზე მიდიოდა თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი. დაუღალავ, გულმოდგინე შრომას, დიდ მონდომებას არ შეეძლო არ მოეტანა ასეთი წარმატება. და აი, ახლა ვიმკით ამ შრომის ნაყოფს: ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი ჩვენი კუთვნილებაა!

მატჩის შემდეგ

გაისმა არბიტრ რ. ლატანცის ბოლო სასტვენი (მან შესანიშნავად გაართვა თავი ამ ურთულეს მატჩს). გუნდები მოეწყვნენ მინდვრის ცენტრში. თბილისელ ფეხბურთელებს პირველად მიულოცეს "კარლ ცაისის" მოთამაშეებმა. შემდეგ დადგა კულმინაციური მომენტი: უეფა-ს პრეზიდენტმა არტემიო ფრანკიმ სანუკვარი თასი გადასცა თბილისელთა კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს. ყოველმა ჩვენმა ფეხბურთელმა მიიღო ნატიფი ხელოვნებით დამზადებული კოლოფი, რომლის ხავერდზეც ოქროს მედალია ევროპის ამ საპატიო პრიზის გამოსახულებით. თბილისელები ერთმანეთს გადასცემდნენ თასს, შემდეგ ტრადიციული წრე შემოირბინეს მწვანე მინდვრის გარშემო.

თამაშის დამთავრების შემდეგ თბილისელთა გასახდელში ენით აუწერელი სიხარული სუფევდა. ჩვენი ფეხბურთელები იცინოდნენ, მღეროდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს.

ხარობდნენ თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელებიც. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა განაცხადა: ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა - სპორსაზოგადოება "დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ შ. გორგოძემ, ჩემმა თანაშემწეებმა კ. ასათიანმა და ს. კუტივაძემ ყველაფერი გააკეთეს, რათა კოლექტივში არ შენელებულიყო ოპტიმისტური ატმოსფერო, რომ თითოეული ფეხბურთელი გამსჭვალული ყოფილიყო გამარჯვების ჩაუქრობელი რწმენით.

დიახაც, მხოლოდ გამარჯვების დიდი რწმენით შეიძლება უდიდეს მიზნის მიღწევა!

ბ. ქორქია.

"ლელო", 16 მაისი, 1981 წ.